სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N183

CPV: 79952100 - კულტურული ღონისძიებების ორგანიზება

თბილისი **13 ოქტომბერი, 2017 წელი**

ერთის მხრივ - **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი,** წარმოდგენილი დირექტორის **ეკატერინე მაზმიშვილის** სახით და მეორეს მხრივ - **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი,** წარმოდგენილი დირექტორის **ზურაბ გეწაძის** სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი''), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.01.2012წ N99 განკარგულების, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია - **მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის - ,,საჩუქარი 2017'' ფარგლებში**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კულტურის საქალაქო სამსახურთან 05.10.2017წ გაფორმებული N08.05/103 ხელშეკრულების საფუძველზე (13.10.2017წ ცვლილებით) ქალაქ თბილისის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებით, როგორც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებისათვის, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის შემდეგი სახის მოსახურების გაწევა

მიმწოდებელი უთმობს თავისი თეატრის დიდი დარბაზის სცენას:

ა) 2017 წლის **2 ნოემბერს - მონტაჟისა და რეპეტიციისათვის,** ხოლო 2017 წლის **3 და 4 ნოემბერს** წარმოდგენა - საფესტივალო თეატრი **„ბალტიური სახლი"**, სპექტაკლის **„ანა კარენინა"** გასამართად;

ბ) 2017 წლის **9 ნოემბერს - მონტაჟისა და რეპეტიციისათვის,** ხოლო 2017 წლის **10 და 11 ნოემბერს** წარმოდგენა - ვიზუალური თეატრი/თანამედროვე ცირკი (ფინეთი) **„Association WHS"**, სპექტაკლის **„Lähtö (განშორება)"** გასამართად;

გ) უწევს ტექნიკურ მომსახურებას, რაც დაკავშირებულია სპექტაკლის გამართვასთან (შემდგომში ყოველივე მოხსენებულია როგორც "მომსახურება"); (ტექნიკური მომსახურების ჩამონათვალი და გეგმა მითითებულია №1 დანართში).

1.2. შემსყიდველი თავისი სალარო აპარატის გამოყენებით განახორციელებს სპექტაკლის ბილეთების რეალიზაციას თეატრის სალაროში.

2. მომსახურების ღირებულება და ანაზღაურების პირობები

2.1. თითოეული სპექტაკლის გამართვისათვის მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 11000 (თერთმეტიათასი) ლარით, შესაბამისად - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 2 სპექტაკლზე გაანგარიშებით, 1.1. პუნქტში გათვალისწინებული მომსახურებისათვის განისაზღვრება **22 000,00 (ოცდაორიათასი) ლარით.**

2.2. შემსყიდველის მიერ მომსახურების ანაზღაურება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3. მიმწოდებლის უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება სრულყოფილად და ხარისხიანად;

3.2. მიმწოდებელი არ იღებს პასუხისმგებლობას შემსყიდველის წინაშე იმ შეთხვევაში, თუ:

ა) შემსყიდველის მიერ დროულად არ იქნა შესრულებული მიმწოდებლის ზეპირი ან წერილობითი რეკომენდაციები, მითითებები და მოთხოვნები;

ბ) შემსყიდველმა სპექტაკლის გამართვის ორგანიზებისათვის მიმწოდებელს მიაწოდა ის დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია, რომელიც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.

4. შემსყიდველის უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა

4.1. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) არაუგვიანეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში სრულად აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ არ განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების მიმწოდებლისათვის დროული და ჯეროვანი შესრულება, შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება სრული სახელშეკრულებო ღირებულების 0.02%-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
გ) დროულად მიაწოდოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის საჭირო დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია;
დ) მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე მისცეს მას ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით;
ე) შემსყიდველი ვალდებულია მოიპოვოს ყველა აუცილებელი ლიცენზია ან ნებართვა საჯარო შესრულებისათვის. შემსყიდველი ასევე იძლევა გარანტიას, რომ არ არღვევს მესამე მხარის საავტორო უფლებას, ან შესრულების, ლიტერატურულ, ინტელექტუალურ ან მხატვრულ უფლებას ან პრივილეგიას და რომ საავტორო ჰონორარები, ლიცენზიის საზღაურები და სხვა გადასახდელები ამ მიმართულებით არის ან იქნება გადახდილი დროულად. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი დაარღვევს ზემოაღნიშნულ გარანტიებს და საავტორო უფლებების უნებართვო გამოყენების გამო მიმწოდებელს დაუდგება მესამე პირის მიმართ რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, შემსყიდველმა სრულად უნდა აუნაზღაუროს მიმწოდებელს ამ უკანასკნელის მიერ მესამე პირებისათვის გადახდილი ან/და გადასახდელი თანხები.
4.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:
მოითხოვოს მიმწოდებლის წერილობითი ან ზეპირი განმარტებები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც შედის მიმწოდებლის კომპეტენციაში.

5. კონფიდენციალურობა

5.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას ყველა ის ინფორმაცია რაც მათთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ასევე ხელშეკრულების პირობები, არ გააცნონ გარეშე პირებს.

6. დავათა გადაწყვეტა

6.1. მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ყველა დავა და უთანხმოება წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა, მათ შორის თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის ან ბათილობის საკითხი, განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სასამართლოს.

7. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

7.1. თუ მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, მეორე მხარე უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება მხარისათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

8. ფორს-მაჟორული გარემოებანი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის (არაჯეროვანი შესრულებისათვის) თუკი ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით (ფორს-მაჟორი);
8.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის დაუძლეველი ძალის გარემოებებად მიიჩნევა ისეთი გარემოებები, რომლებიც წარმოიშვნენ მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად (სტიქიური უბედურებები, სამომარი მოქმედებები, მიწისძვრა, ხანძრი, აფეთქება, ქარიშხლი, წყალდიდობა, კონფისკაცია ან სახელმწიფოს მიერ განხორციელებილი სხვა ქმედებები);